www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 3 დეკემბერი, 2013 წელი. | №3420 (227) | ფასი 50 თეთრი

ასი ათასობით მანიფესტანტს უკრაინის ხელისუფლების ცვლილება სურს

ივა შილაკაძე

გასულ შაბათ-კვირას უკრაინაში მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა. იანუკოვიჩის მთავრობის უარს - ვილნიუსის სამიტის დროს ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებზე, დაემატა დამოუკიდებლობის მოედანზე ევროინტეგრაციის მომხრეთა აქციის სასტიკი დარბევა, რამაც ხალხის მასების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

საქართველო სუამ-ის თავმჯდომარეობის ერთ წელს აჯამებს

საქართველო, რომელიც 2013 წლის განმავლობაში დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის - სუამ-ის თავმჯდომარე ქვეყანაა, გაერთიანების საპარლამენტო ასამბლეის მე-6 სხდომას მასპინძლობს. ღონისძიების გახსნაზე სუამ-ის ოთხივე წევრი ქვეყნის - საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის და მოლდავეთის დელეგაციები იყვნენ წარმოდგენილნი. სხდომას სტუმრის სტატუსით პოლონეთის, ლატვიის და ესტონეთის საპარლამენტო დელეგაციები ესწრებიან.

მთავარი დოკუმენტების პროექტებზე მუშაობის დასრულების შემდეგ, სხდომას გამოეთიშა უკრაინის რადას ვიცე-სპიკერი, პარტია „თავისუფლების“ წევრი რუსლან კოშულინსკი. მან საქართველოში ვიზიტის შეწყვეტის მიზეზად უკრაინაში მიმდინარე მოვლენები დაასახელა. **„უკრაინაში რთული, კრიტიკული სიტუაციაა, მხედველობაში მაქვს ბოლოდროინდელი მოვლენები, სადაც მშვიდობიანი დემონსტრაცია ძალისმიერი მეთოდებით დაშალეს. უკრაინაში საერთო ეროვნული გაფიცვაა გამოცხადებული.**

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

„ნეტავ ვის ვუფრთხილდებით?"

კიევის მოვლენების ექო საქართველოში

რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ, უკრაინის მხარდამჭერი აქცია გაიმართა. მონაწილეები აქციაზე ევროკავშირისა და უკრაინის დროშებით მივიდნენ.

პარლამენტის შენობის წინ პოლიტიკოსები და ცნობილი სახეები იმყოფებოდნენ. აქციას შეუერთდნენ უკრაინის მოქალაქეებიც, რომლებიც საკუთარ თანამემამულეებს სოლიდარობას თბილისიდან უცხადებენ.

აქციის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ უკრაინის მოვლენები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უკრაინისათვის, არამედ მთელი რეგიონისთვის, მათ შორის - ევროპისთვისაც.

უკრაინაში განვითარებული მოვლენების შესახებ გუშინ მთელი დღის მანძილზე კომენტარები კეთდებოდა როგორც მთავრობაში, ასევე საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ იმედი გამოთქვა, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენები მშვიდობიანად დასრულდება და ორივე მხარე ეცდება, პრობლემა ძალის გამოყენების გარეშე მოაგვაროს: **„რასაკვირველია, შეშფოთებით ვადევნებთ თვალს იმას, რაც უკრაინაში ხდება, რადგან არიან დაშავებულები და ამან სისტემატიური ხასიათი მიიღო, ამიტომ ერთადერთი, რაც შეგვიძლია, დემონსტრანტებსაც და მთავრობასაც მოვუწოდოთ, ის არის, რომ დიალოგის საშუალებით, ძალის არგამოყენებით იპოვონ ვითარებიდან გამოსვლის გზა. ეს მარტივი არ არის, თუმცა სანამ უარესი არ მომხდარა, აუცილებელია, ორივე მხარე ვითარების დარეგულირებას შეეცადოს.“**

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ვანო მერაბიშვილმა სასამართლო სხდომა დატოვა



თბილისის საქალაქო სასამართლოში 26 მაისის საქმეზე ყოფილი პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის პროცესი გრძელდება. 2011 წლის 26 მაისის მოვლენების შესახებ ვანო მერაბიშვილს დამამძიმებელ გარემოებებში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (სსსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილი „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები) ედება ბრალად.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

1 აშშ დოლარი		1.6643⇓
1 ევრო		2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა		2.5933⇓
1 თურქული ლირა		0.8622⇓
100 რუსული რუბლი		5.0433⇓
თბილისი		31°C - 20°C
ქუთაისი		33°C - 20°C
ზუგდიდი		32°C - 21°C
ბათუმი		27°C - 21°C
ნავთობი	3.19	+0.00 +0.16%
გაზი	3.58	+0.11 +3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80 -0.56%
ხორბალი	868.50	+12.25 +1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

სოჭში საქართველოს სამთავრობო დელეგაცია არ გაემგზავრება

სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სამთავრობო დელეგაცია არ გაემგზავრება. ეს განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ტელეკომპანია RT-სთვის მიცემულ ინტერვიუში, რომელსაც სოფო შევარდნაძე უძღვებოდა.

„მთავრობა სოჭში არ გაემგზავრება. წავლენ მხოლოდ სპორტსმენები და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა“.

სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მონაწილეობის საკითხს გამოეხმაურა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანიც. მინისტრის თქმით, ამ ეტაპზე საქართველოს მთავრობას მიაჩნია, რომ სოჭში სამთავრობო დელეგაციის გამგზავრება მიზანშეწონილი არ არის და რომ ოლიმპიური თამაშებზე მხოლოდ სპორტული დელეგაცია გაემგზავრება: „ჩვენ თავიდანვე განვაცხადეთ, რომ სპორტი არ უნდა გაიგივდეს პოლიტიკასთან, ხოლო თუ ჩვენი მოწინააღმდეგე სპორტს იყენებს პოლიტიკური ინტერესებისთვის, საქართველომ იგივე ნაბიჯი არ უნდა გადადგას და სპორტსმენები უმნიშვნელოვანეს სპორტულ ფორუმზე უნდა გაემგზავრონ. საქართველოს დროშა უნდა ფრიალებდეს ოლიმპიურ თამაშებზე“.

ავთო ვარაზი - რეტროსპექტივა

1 დეკემბერს ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ავთო ვარაზის რეტროსპექტიული გამოფენა გაიხსნა. ვერნისაჟს დაამთხვიეს ახალი წიგნის ავთო ვარაზის“ პრეზენტაციაც.

წიგნის ავტორი მხატვრის მეუღლე ხელოვნებათმცოდნე მანანა ხვთისიაშვილია. გამოცემა აერთიანებს მხატვრის ცხოვრებას და შემოქმედებას და ილუსტრირებულია ავთო ვარაზის ნახატებით. წიგნში ასევე თავმოყრილია ავთო ვარაზის გამონათქვამები, რომელსაც იგი სხვადასხვა პერიოდში ქაღალდის ნაგლეჯზე, სიგარეტის კოლოფებზე, ესკიზების არშიებზე იწერდა.

რაც შეეხება გამოფენაას, თბილისის სამხატვრო აკადემიის ორგანიზებით, მოეწყობა ავთო ვარაზის რეტროსპექტიული გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება 70-მდე ნამუშევარი სამუზეუმო ფონდებიდან თუ კერძო კოლექციებიდან.

გამოფენის კურატორია ალექსანდრა(მაცაცო) გაბუნია. თანაკურატორები: ლანა ბაზლიძე, ვერიკო გოცირიძე, თათია თევდორაშვილი, მარიამ მიქაძე (სამხატვრო აკადემიის რესტავრაცია/ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები).

ავთო ვარაზი (1926-1977) XX საუკუნის მხატვარია; ის იყო პირველი, ვინც ქართულ მხატვრობაში კოლაჟის ტექნიკა გამოიყენა. მისი ტილოები გაბნეულია მსოფლიოს მუზეუმებში, ასევე დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ქუთაისის, ცაგერის, ამბროლაურის და სენაკის სახვითი ხელოვნების მუზეუმებში.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

საქართველოს პრეზიდენტი პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის ვიცე-მარშალს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის ვიცე-მარშალ სეზარ გრაბარჩიკს შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრეზიდენტის პრეს-სამსახურიდან აცნობეს, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-პოლონეთს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობები განიხილეს, საუბარი ვილნიუსის სამიტზე საქართველოს მიერ მიღწეულ წარმატებებს შეეხო.

მხარეებმა პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის შესაძლო ვიზიტსა და პოლონეთის პრეზიდენტის საპასუხო ვიზიტის პერსპექტივაზე იმსჯელეს. შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ პოლონეთი აქტიურად ითანამშრომლებს საქართველოსთან, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ დონეზე, ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებიდან მის ხელმოწერამდე ერთი წლის განმავლობაში.

როგორც პოლონეთის სეიმის ვიცე-მარშალმა განაცხადა, პოლონური მხარე თანამშრომლობის გაღრმავებისთვის მზად არის.

„განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან ვილნიუსის სამიტის შემდეგ, სადაც საქართველომ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება მოახდინა. ჩვენ, როგორც პარლამენტი, მზად ვართ, გავაღრმაოთ ურთიერთობები საქართველოსთან ყველა იმ მიმართულებით, რაც ქვეყნის განვითარებისთვის არის საჭირო,“ - აღნიშნა სეზარ გრაბაჩიკმა.

მაია ფანჯიკიძე: ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს სავიზო რეჟიმის მოწესრიგება და არა მისი გამკაცრება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის მტკიცებით, ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს სავიზო რეჟიმის მოწესრიგება და არა მისი გამკაცრება.

ასე ხსნის საგარეო საქმეთა მინისტრი სავიზო რეჟიმის შესახებ შემუშავებულ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც პარლამენტში უკვე წარდგენილია. მაია ფანჯიკიძის განმარტებით, სავიზო რეჟიმის გადახედვა ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის ფარგლებში არსებულმა ვალდებულებამ განაპირობა.

„ამ პროცესში ხდება არა გამკაცრება, არამედ სავიზო რეჟიმის მოწესრიგება, რადგან პროცესი მიშვებული იყო და საქართველოს ცალმხრივად, 122 ქვეყანასთან გაუქმებული ჰქონდა სავიზო რეჟიმი. მოწესრიგების ფარგლებში შეიძლება, ზოგიერთ ქვეყანასთან სავიზო რეჟიმი აღდგეს, რაც გამკაცრებას არ ნიშნავს. ეს მხოლოდ მოწესრიგების პროცესია,“ - განუცხადა ჟურნალისტებს მაია ფანჯიკიძემ.

ამასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებს იმ სახელმწიფოებს, რომლებთანაც სავიზო რეჟიმის აღდგენაა მოსალოდნელი.

სოზარ სუბარის მოადგილედ ეკა ქრისტესაშვილი ინიშნება

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ახალი მოადგილის ვინაობა უკვე ცნობილია.

როგორც ჟურნალისტებს სოზარ სუბარმა გუშინ განუცხადა, სოფო ჯაფარიძეს ეკა ქრისტესაშვილი შეცვლის.

მინისტრის განმარტებით, მან თავისი მოადგილის პოსტზე ქრისტესაშვილის კანდიდატურა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს უკვე წარუდგინა.

სოზარ სუბარის ინფორმაციით, ეკა ქრისტესაშვილი ადამიანის უფლებების დამცველია და ამ კუთხით ბოსნია-ჰერცოგოვინაში მუშაობდა.

სოფო ჯაფარიძემ თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა. როგორც სუბარმა ჟურნალისტებს გასულ კვირას განუცხადა, ის სხვა უწყებაში განაგრძობს მუშაობას.

ქუთაისის მერი მერიაში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას არ გამორიცხავს

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი შოთა მურღულია ქალაქის მერიაში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას არ გამორიცხავს.

მურღულიას თქმით, ის ამ ეტაპზე მერიაში დასაქმებულთა რაოდენობას სწავლობს და პარლამენტის მიერ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» კანონში იმ ცვლილებების დამტკიცებას ელოდება, რომელმაც ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებულთა რაოდენობა უნდა განსაზღვროს.

«დიდი არა, მაგრამ მცირე შემცირება მოგვიწევს. ჯერჯერობით საკითხის შესწავლის პროცესში ვართ,» - ამბობს მურღულია.

ცნობისათვის - ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობაში ამ დროისათვის, დაახლოებით, 600 ადამიანია დასაქმებული.

საქართველო სუამ-ის თავმჯდომარეობის ერთ წელს აჯამებს

პირველი გვერდიდან

მომიტინგეებმა მთავრობის მიმართ საკუთარი მოთხოვნების ფორმულირება უნდა მოახდინონ,“ - თქვა გამგზავრებამდე კოშულინსკიმ. როგორც მან აღნიშნა, დღეს რადას პლენარული სხდომის გამართვაა დაგეგმილი, თუმცა დეპუტატი დარწმუნებული არ არის, რომ რადა ნორმალურ ფუნქციონირებას შეძლებს. კოშულინსკის თქმით, რადაში მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი განიხილება. **„დემოკრატიულ ქვეყანაში მინისტრთა კაბინეტის ყველა წევრი გადადგებოდა, თუმცა, სამწუხაროდ, უკრაინაში ასე არ მოხდა,“** - ამბობს კოშულინსკი.

უკრაინის მიერ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე უარის თქმა შეაფასა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. მისი აზრით, შეუძლებელია, საქართველოსთვის კარგი იყოს ის, რაც უკრაინისთვის არ არის კარგი.

„საკითხის ისე დაყენება, რომ თუკი უკრაინა რამით შეფერხდება, ჩვენ ამით ვიხეირებთ, სწორი არ არის. თანამედროვე დემოკრატიული სამყარო ისეთ პრინციპებზეა დაფუძნებული, რომლებითაც ყველამ თანაბრად უნდა ისარგებლოს. ამიტომ, ერთი მხრივ, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში თავიდანვე სწორი გადაწყვეტილება იყო მიღებული, როცა ევროკავშირი სახელმწიფოებთან მოლაპარაკებებს ცალ-ცალკე აწარმოებდა და ეს არ იყო კოლექტიური შეთანხმებები, მაგრამ უკრაინასთან, მოლდავეთთან და სხვა აღმოსავლეთ ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად, ჩვენ ამ პროცესში გაცილებით ძლიერი ვიქნებით,“ - მიიჩნევს უსუფაშვილი.

„ქორთიარდ მარიოტში“ ასამბლეის სხდომა სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის წლევანდელმა თავმჯდომარემ, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზურაბ აბაშიძემ გახსნა. ასამბლეის ბიურომ ორი დოკუმენტის პროექტი მოიწონა, რომელსაც დღეს პლენარულ სესიაზე კენჭს უყრიან. ქართულმა მხარემ ასამბლეის კომუნიკეს პროექტის ტექსტის შესახებ თავისი წინადადებები წარადგინა. როგორც ზურაბ აბაშიძე ამბობს, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ კომუნიკეში საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მიმდინარე პროცესები ასახულიყო. **„იყო პოზიცია, რომ ტექსტში კონკრეტულად მავთულხლართების საკითხი არ ყოფილიყო მითითებული, მაგრამ ქართული მხარის მოთხოვნით, იგი კომუნიკეში შენარჩუნდება,“** - თქვა აბაშიძემ.

მეორე დოკუმენტი ერთობლივ განცხადებას წარმოადგენს, რომელსაც, სუამ-ის წევრ ქვეყნებთან ერთად, გაერთიანების საერთაშორისო პარტნიორები მიიღებენ. სუამის საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივან ვალერი ჩეჩელაშვილის თქმით,

„დოკუმენტებში სუამ-ის ფორმატში თანამშრომლობისა და ევროინტეგრაციისკენ მისწრაფებები მკაფიოდ არის აღნიშნული. ამასთან, კონფლიქტების შესახებ პოზიცია მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, მათ შორის ნახსენებია მავთულხლართების თემა. დოკუმენტი მკაფიო პოლიტიკურ შეფასებებს იძლევა.“

რეგიონული გაერთიანების მნიშვნელობის შესახებ საუბრობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. მისი შეფასებით, სუამ-ს სერიოზული პოლიტიკური მომავალი გააჩნია. როგორც უსუფაშვილი აღნიშნავს, ცალკეული ქვეყნები და სახელმწიფოთშორისი გაერთიანებები სუამ-თან აქტიური თანამშრომლობის ფაზაში გადადიან. სპიკერის თქმით, სუამ-ი, როგორც ოთხი სახელმწიფოს გაერთიანება, ბალტიისპირეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მიზიდულობის ცენტრად იქცა.

საპარლამენტო ასამბლეის სხდომამდე, ვილნუსში, «აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის პარალელურად, სუამ-ის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალური შეხვედრა გაიმართა. მასში ევროკავშირის თავმჯდომარის რანგში ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკევიჩუსი მონაწილეობდა. არაფორმალურ შეხვედრაზე კომუნიკე მიიღეს, რომელშიც მინისტრები სუამ-ის წევრი ქვეყნების ევროპულ მისწრაფებებს მიესალმნენ და ევროკავშირსა და სუამ-ს შორის თანამშრომლობის გააქტიურებისთვის მზადყოფნა გამოთქვეს.

ასამბლეის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას კი საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ სუამ-ის თავმჯდომარის რანგში საქართველოს მიერ გაწეული მუშაობის შედეგები შეაფასა. მინისტრმა აღნიშნა, რომ ვილნიუსში მიღებული კომუნიკე ორგანიზაციის წევრთა სტრატეგიული თანამშრომლობის უახლეს შედეგს წარმოადგენს. **„ეს უნიკალური დოკუმენტი ცხადყოფს, რომ სუამ-ის ფარგლებში მრავალმხრივი თანამშრომლობა კვლავაც რჩება ჩვენი საერთო ინტერესებისა და ღირებულებების, მათ შორის ევროპული მისწრაფებების განსახიერებად,“** - თქვა მინისტრმა.

მაია ფანჯიკიძე ამბობს, რომ სუამ-ის თავმჯდომარეობის პერიოდში საქართველოს პრიორიტეტს პარტნიორებთან თანამშრომლობისა და ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებთან პოლიტიკურ ქმედებებზე შეთანხმების საკითხი წარმოადგენდა. მინისტრის თქმით, თავმჯდომარეობის პერიოდში რეგიონულ ფორმატში თანამშრომლობის გასაძლიერებლად საქართველომ ყველა ღონეს მიმართა. **„ჩვენს პრიორიტეტულ მიზანს სუამ-ის წევრ სახელმწიფოებთან სოლიდარობისა და კონსენსუსის პრინციპების განმტკიცება წარმოადგენდა. ძლიერი პოლიტიკური ნების გარეშე საერთო გამოწვევებთან ერთობლივად გამკლავებასა და საერთო ინტერესების დაცვას ვერ შევძლებდით. სუამ-ის პოლიტიკური განცხადებები არასდროს ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც მიმდინარე წლის განმავლობაში,“** - ამბობს მაია ფანჯიკიძე.

მინისტრი სუამ-აშშ-სა და სუამ-იაპონიის თანამშრომლობაზე ამახვილებს ყურადღებას. როგორც ფანჯიკიძე ამბობს, თავმჯდომარეობის პერიოდში საქართველო აშშ-სა და იაპონიასთან ერთობლივი პროექტების განხორციელებას ხელს უწყობდა.

„პარტნიორებთან თანამშრომლობის შედეგად მიღწეულმა წარმატებამ და მიღებულმა გამოცდილებამ სხვა სახელმწიფოებს და რეგიონულ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი ინტერესი გაუღვივა. მაგალითად, საქართველოს თავმჯდომარეობის ეგიდით, განხილვის საგანი პირველად გახდა სუამ-სა და წყნარი ოკეანის ალიანსს შორის შესაძლო თანამშრომლობის პერსპექტივა. ეჭვგარეშეა, რომ სუამ-ს ყველა წინაპირობა გააჩნია, რათა მომავალ წლებში კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიიზიდოს და პარტნიორთა სია გაფართოვოს,“ - მიიჩნევს ფანჯიკიძე.

მინისტრი ამბობს, რომ სუამი პროექტებზე ორიენტირებულ ორგანიზაციად რჩება. ამიტომ, ფანჯიკიძე განსაკუთრებულ ყურადღებას ეკონომიკური თანამშრომლობის იმ მაღალ დონეზე ამახვილებს, რაც სუამ-ის თავისუფალი სავაჭრო სივრცის შემოღებამ გახადა შესაძლებელი. **„ამ ნაბიჯმა სუამ-ის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებას ხელი შეუწყო,“** - აღნიშნავს ფანჯიკიძე. როგორც მინისტრი დასძენს,

სუამ-ის საერთო წარმატებად შეიძლება ჩაითვალის ისიც, რომ სუამ-ის სატრანსპორტო დერეფნის კონცეფცია საქართველოს თავმჯდომარეობის პერიოდში დამტკიცდა.

საკუთარი ინფორმაცია

პრემიერი მიიჩნევს, რომ ევროპის მსგავსი ტოლერანტობისთვის საქართველო მზად არ არის

ევროკავშირი რაიმე სახის პოლიტიკური ახირება არ არის, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ტელეკომპანია RT-სთან ინტერვიუში აცხადებს.

მისი თქმით, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები იგივე რჩება და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ მისწრაფებას საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა უჭერს მხარს.

„ჩვენი მოსახლეობის 70 პროცენტი მხარს უჭერს საქართველოს გაერთიანებას ევროკავშირსა და ნატო-ში. ევროკავშირი არ არის რაიმე სახის პოლიტიკური ახირება. თუკი ჩვენ გადავხედავთ საქართველოს ისტორიას, დავინახავთ, რომ ჩვენი წინაპრები და ჩვენი ქვეყანა ყოველთვის ილტვოდნენ ევროპისკენ და ევროპული ცივილიზაციისკენ. ასე რომ, ჩვენ ვაგრძელებთ იმ საქმეს, რაც ჩვენმა წინაპრებმა წამოიწყეს. ჩვენ დიდად გვიზიდავს ევროპული ღირებულებები. რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ ასპექტებს, ევროკავშირი უამრავ უპირატესობას გულისხმობს. ევროპული ბაზარი გახსნილი იქნება ქართული პროდუქციისთვის. ვფიქრობ, საამაყო იქნება, როდესაც ევროპულ ბაზარზე დავინახავთ ეტიკეტს წარწერით Made in Georgia. რაც შეეხება პოლიტიკურ ასპექტებს, ჩვენ ვსაუბრობთ უსაფრთხოებაზე, დაცულობასა და მობილურობაზე. ეს ყველაფერი გავლენას იქონიებს საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობაზე. საქართველოს უკეთესი არჩევანი არ გააჩნია. ევროპა ერთადერთი სწორი გზაა. ევროპაზე უკეთესი არაფერია. ევროპა და ევროპული კულტურა ჩვენი ისტორიული არჩევანია. ევროპაში უფრო მეტი უსაფრთხოება და სარგებელია, ამიტომაც მივისწრაფით ევროპისკენ,“ - აცხადებს ღარიბაშვილი.

ჟურნალისტის კითხვას, არის თუ არა საქართველო ფსიქოლოგიურად მზად ევროპული ღირებულებების გაზიარებისა და იმისთვის, რომ ევროპის მსგავსად, იყოს ტოლერანტული, გასული წლის ჰომოფობიური პროტესტის გათვალისწინებით, ირაკლი ღარიბაშვილი პასუხობს, რომ საქართველო ჯერ მზად არ არის.

„არ მითქვამს, რომ დღეს მზად ვართ. ჩვენი განვითარება თანდათან უნდა მოხდეს. ჯერ მზად არ ვართ და ევროკავშირმა ეს ძალიან კარგად იცის. უამრავი გამოცდა უნდა გავიაროთ. თუკი სტუდენტი საშინაო დავალებას არ ასრულებს, ის გამოცდაზე ჩაიჭრება. ასევე უცვლელია ჩვენი პოზიცია ნატო-ს მიმართ. საქართველო ნატო-ს წევრობისკენ მიისწრაფვის,“ - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

„ნეტავ ვის ვუფრთხილდებით?"

პირველი გვერდიდან

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალსანია დარწმუნებულია, რომ უკრაინა საბოლოოდ ევროპული ოჯახის ნაწილი გახდება.

„რაც შეეხება ამჟამინდელ მოვლენებს, ეს, ბუნებრივია, საგანგაშოა. ევროპული პარტნიორი ქვეყნები გულშემატკივრობენ, რომ შიდაპოლიტიკური დაძაბულობა მშვიდობით დასრულდეს და უკრაინა ევროპული ინტეგრაციის გზას დაადგეს. ჩვენ უკრაინელი ხალხის და ასევე, ხელისუფლების გადაწყვეტილებებს პატივს ვცემთ და როგორც არ უნდა დასრულდეს ევროპასთან მოლაპარაკებები, უკრაინასა და საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობები მომავალშიც განვითარდება," - განაცხადა ალასანიამ.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი იმედოვნებს, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები მშვიდობიანად დასრულდება. უსუფაშვილი უკრაინელ ხალხს თავისი თავისუფალი არჩევანის რეალიზებას და საქართველოსთან ერთად ცივილიზებული სამყაროსკენ სვლის გაგრძელებას უსურვებს.

„ვიმედოვნებ, რომ ის პროცესები, რომლებიც უკრაინაში მიმდინარეობს, მშვიდობიანად და უკრაინელი ხალხის ინტერესების შესაბამისად დასრულდება. ყურადღებით ვადევნებ თვალს იქ მიმდინარე მოვლენებს. ეს, ერთი მხრივ, შიდა საკითხია, მაგრამ როცა საქმე ეხება ადამიანის უფლებებს და ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს, იმ ადამიანების გვერდით ვართ, ვის მხარესაც არის კონსტიტუცია და სიმართლე," - განაცხადა უსუფაშვილმა და აღნიშნა, რომ შეუძლებელია, რამე საქართველოსთვის იყოს კარგი, თუ ის უკრაინისთვის არ არის კარგი.

საგარეო საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველ ვანო მაჭავარიანის შეფასებით კი, უკრაინის ბოლოდროინდელმა მოვლენებმა საქართველოზე დადებითად იმოქმედა.

მაჭავარიანის თქმით, ევროპა უკრაინის მოვლენების შემდეგ საქართველოსა და მოლდავეთის მიმართ მეტ ყურადღებას იჩენს.

„ჩვენი ევროპელი მეგობრები ყველანაირად დაგვეხმარებიან რუსეთთან ურთიერთობისას, თუმცა რაღაცის ზედმეტი დრამატიზება არ მინდა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ პრობლემები არ შეიქმნას. ევროპელი ლიდერები საკმაოდ გათვიცნობიერებულები არიან იმ პრობლემებში, რომლებიც საქართველოს გაჩენია რუსეთის მხრიდან, თუმცა ვფიქრობ, საქართველოს და უკრაინის შემთხვევა განსხვავებულია, რადგან უკრაინა უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთთან. უკრაინის იმ მოვლენებმა, რომლებიც ბოლო დროს განვითარდა, საქართველოსა და მოლდავეთზე დადებითად იმოქმედა, რადგან ევროპა ამ ქვეყნებს უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს. ამასთან მინდა, ვთქვა, რომ ვილნიუსის სამიტზე საფრანგეთის პრეზიდენტმა საქართველოში რუსეთის ოკუპაციის შესახებ საკმაოდ ღიად ისაუბრა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია," - განაცხადა მაჭავარიანმა.

„მჯერა, რომ უკრაინასთან ერთად ხელიხელჩაკიდებულები გავივლით ამ ეკლიან გზაზე," - ასე გამოეხმაურა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი.

„ჩემი გონებაც და გულიც კიევში მაიდანზეა. მიყვარს უკრაინა, მეიმედება მათი წარმატება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩვენი წარმატების გზა უკრაინაზე გადის. არა. თავისუფლებისთვის მებრძოლი ყველა ადამიანის მეგობარი და მოსარჩლე ვარ ყველა ქვეყანაში და ყველა ვითარებაში.

უკრაინა ევროპაა, დიდი წარმატების ღირსი ქვეყანა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სულ მცირე ხნით დაამუხრუჭეს. მაედანზე ხალხი ყოველ წუთს ამტკიცებს, რომ ეს მცირე ხანი იმაზე უფრო მცირე იქნება, ვიდრე მათ ხელისუფლებას ახლა ჰგონია. ასეთი ადამიანებით არსებობენ სახელმწიფოები, ასეთ ადამიანებზე დგას წარმატება და წინსვლა. ასეთი ძალიან ბევრია უკრაინაში და ძალიან ბევრია ჩვენთანაც. ამიტომაც მჯერა, რომ უკრაინასთან ერთად ხელიხელჩაკიდებულები გავივლით ამ ეკლიან გზაზე და სამშვიდობოზე ერთად გავალთ მოკაშკაშე ვარსკვლავებიანი პასპორტით ხელში. ასევე იმ ადამიანების გულშემატკივარი ვარ, ვინც დღეს ერევანში პუტინის სტუმრობას აპროტესტებდნენ," - დაწერა თინა ხიდაშელმა «ფეისბუქის» საკუთარ გვერდზე.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძის განცხადებით, საქართველოს ბედი მნიშვნელოვანწილად უკრაინაში წყდება. მისივე თქმით, რუსეთის ზეწოლით უკრაინამ ევროპული გზიდან არ უნდა გადაუხვიოს, რადგან რუსეთი ანალოგიურის გაკეთებას საქართველოს მიმართაც შეეცდება.

„ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ უკრაინაში მოვლენები ნორმალურად მიდიოდეს. უკრაინელმა ხალხმა არ უნდა დაკარგოს ევროპის პერსპექტივა და მოხდეს ის, რისთვისაც დღეს ათი ათასობით და ასი ათასობით ადამიანი ქუჩაში გამოდის. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ რუსეთს არ მიეცეს ზეწოლის გზით უკრაინის ევროპიდან იზოლირების საშუალება, რადგან თუ დღეს ეს უკრაინაში მოხდება, ხვალ რუსეთი, ძალიან დიდი ალბათობით, ამას საქართველოშიც ეცდება. ამიტომ, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, საქართველოს ბედი მნიშვნელოვანწილად უკრაინაში წყდება," - განაცხადა ბაქრაძემ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ გიორგი ვაშაძის შეფასებით, კიევში მიმდინარე მოვლენების შესახებ საქართველოს ხელისუფლებას მკაფიო პოზიცია უნდა ჰქონდეს.

„კიევში ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი მიმდინარეობს. საქართველო შეიძლება, ზუსტად იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდეს. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ჩვენი ხელისუფლების აქტიური მუშაობიდან გამომდინარე, რუსეთს საქართველოს მიმართ არ აქვს ისეთი ბერკეტები, როგორიც უკრაინის მიმართ (უკრაინა პირდაპირ არის რუსეთზე ენერგოდამოკიდებული), ჩვენთანაც შესაძლოა, იგივე მოხდეს. დღეს ჩვენ უკრაინელი ხალხის გვერდით უნდა დავდგეთ, რადგან შეიძლება, ერთი ან ორი წლის პერსპექტივაში ჩვენ დაგვჭირდეს მათი თანადგომა. ჩვენი პოზიცია მკაფიო უნდა იყოს - რომ რუსეთისთვის გავლენის სფეროები არ არსებობს და არ შეიძლება, რუსეთის ფედერაცია ხელს უშლიდეს ევროპულ მომავალს ან საქართველოში, ან უკრაინაში და ან სხვაგან," - განაცხადა ვაშაძემ.

ვაშაძე მიიჩნევს, რომ რუსეთს საქართველოზე პოლიტიკური წნეხის გასაძლიერებლად ორი ბერკეტი შემორჩა: **„პირველი, ეს არის გახსნილი ეკონომიკური ბაზრის კვლავ დაკეტვა, თუმცა მიხარია, რომ ქართული ეკონომიკა ნამდვილად არ არის დამოკიდებული რუსეთის ბაზარზე, ამიტომ ეკონომიკური ბერკეტი სუსტია. მეორე საკითხი არის მცოცავი ოკუპაცია და აქ საქმე გაცილებით რთულად არის, რადგან დღევანდელი მთავრობის წარმომადგენლების რიტორიკა და მათი აქტივობა ნაკლებ პრინციპული და ხშირად დამაბნეველია. დღევანდელი მთავრობა რუსეთის ქმედებების გამართლებას ეძებს. ეს დანაშაულია. სწორედ ამას მოჰყვება მცოცავი ოკუპაციის განგრძობადი პროცესი,"** - განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი. ზურაბიშვილმა «ფეისბუქის» საკუთარი გვერდის მეშვეობით საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა.

„სად არის თქვენი ოფიციალური პოზიცია უკრაინის მოვლენებზე? სად არის საქართველოს სახელმწიფოს პოზიცია იმის შესახებ, რომ გუშინდელი ჩვენი მოკავშირე შეიძლება, რუსეთის გზას შეადგეს ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგად და მოსახლეობის თანხმობის გარეშე? ან როგორ ფიქრობთ, არ უნდა გვქონდეს ამ საკითხზე ჩვენი საჯარო პოზიცია? თუ ვინმეს ვუფრთხილდებით და ნეტავ ვის?" - წერს ზურაბიშვილი.

დავით საგანელიძე პოლიტიკიდან ბიზნესში დაბრუნებას აპირებს

დავით საგანელიძე სადეპუტატო უფლებამოსილების მოხსნას აპირებს. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის" გახდა ცნობილი, საგანელიძე პოლიტიკიდან ბიზნესში ბრუნდება.

ამასთან, გამორიცხული არ არის, დავით საგანელიძემ პარლამენტი საშემოდგომო სესიის დასასრულს დატოვოს.

აღნიშნული საკითხი უკვე განხილვის საგანი იყო კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს ბოლო სხდომაზე, რომელშიც ბიძინა ივანიშვილიც მონაწილეობდა. პოლიტიკიდან წასვლა საგანელიძის პირადი გადაწყვეტილებაა და მან კოლეგებს და კოალიციის ყოფილ ლიდერს განუმარტა, რომ სურს, საქმიანობა ბიზნესსექტორში გაგრძელოს. კოალიციის პოლიტსაბჭოს წარმომადგენლებმა და ბიძინა ივანიშვილმა საგანელიძეს მადლობა გადაუხადეს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის რანგში გაწეული მუშაობისთვის, ასევე იმ საქმიანობისთვის, რომელიც მან გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობის თვალსაზრისით გაწია.

ამასთან, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის თანამდებობაზე მმართველ უმრავლესობაში ირაკლი ტრიპოლსკის კანდიდატურა განიხილება. პოლიტსაბჭოს სხდომაზე ამ საკითხზეც იმსჯელეს.

დავით საგანელიძემ „ინტერპრესნიუსს" დაუდასტურა, რომ პოლიტიკიდან წასვლას აპირებს, თუმცა არ აკონკრეტებს, როდის განახორციელებს ამ გადაწყვეტილებას. ასევე საგანელიძე პოლიტსაბჭოზე გამართული საუბრის დეტალების გახმაურებისგანაც თავს იკავებს.

„მივიჩნევ, პოლიტიკაში ჩემი ძირითადი ამოცანა შევასრულე იმ მხრივ, რომ მცირე წვლილი შევიტანე იმ სიბინძურის თავიდან მოშორებაში, რასაც საკაშვილის სახით არსებული ხელისუფლება ერქვა. არ გამოვრიცხავ პოლიტიკიდან ბიზნესში გადასვლას, რადგან არაერთხელ მითქვამს, რომ ვარ ექიმი და ბიზნესმენი. აუცილებლად დავუბრუნდები სამედიცინო სფეროს ან ბიზნესსექტორს. მე მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრი ვარ და მივიჩნევ, რომ პოლიტიკაში ჩემ მიერ დასახული ამოცანა შევასრულე," - განუცხადა საგანელიძემ „ინტერპრესნიუსს".

დღეს დასავლეთ საქართველოს სანაპიროზე შტორმია მოსალოდნელი

სინოპტიკოსები დღეს დასავლეთ საქართველოს სანაპიროზე შტორმს პროგნოზირებენ. როგორც „ინტერპრესნიუსს" გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის თანამშრომელმა სვეტლანა ნიორაძემ განუცხადა, დღეს შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ცივი და ნოტიო ჰაერის მასები გავრცელდება, რის შედეგადაც ამინდი მკვეთრად გაუარესდება. ქვეყნის დაბლობში მოსალოდნელია ძლიერი წვიმა, მთასა და მაღალმთებში - თოვა და ქარბუქი.

დასავლეთ საქართველოში იქროლებს ძლიერი ქარი 20-25 მეტრი წამში, შავი ზღვის სანაპიროზე ქარის სიჩქარე 28 მეტრი წამი იქნება. ამასთან, შავ ზღვაზე მოსალოდნელია შტორმი. დასავლეთ საქართველოს დაბლობში დღის ბოლოს წვიმა შეიძლება თოვლში გადავიდეს.

ამასთან, დღეს ძლიერი ქარი და წვიმაა მოსალოდნელი აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში, მაღალმთაში - ქარბუქი. იქროლებს ძლიერი ქარი, მათ შორის თბილისში - 20-25 მეტრი წამში, ზოგან ქარის სიჩქარემ შესაძლოა 28-30 მეტრს მიაღწიოს.

4-5 დეკემბერს, ღამით, აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობში ყინვაა მოსალოდნელი. ჰაერის ტემპერატურა - 5-6 გრადუსი იქნება, თბილისში -2; მაღალმთაში -18 გრადუსი. თოვლის ნალექი შენარჩუნდება შიდა ქართლის რეგიონში.

ვანო მერაბიშვილმა სასამართლო სხდომა დატოვა

პირველი გვერდიდან

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ ვანო მერაბიშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გუშინდელ პროცესზე მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძემ ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ადვოკატების განცხადებით, შუამდგომლობის მოტივია ის, რომ მერაბიშვილს 26 მაისის მოვლენებში არაკანონიერი ბრძანება არ გაუცია.

ადვოკატ გიორგი ჩივიაშვილის განმარტებით, 26 მაისის საქმეზე ბრალდება არ იკვეთება, რადგან არ არსებობს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ვინმეს ძალის გადამეტების დავალება მისცა. ადვოკატის თქმით, 26 მაისის აქციის დაშლისას ზოგიერთმა სამართალდამცველმა ძალას გადაამეტა, თუმცა მერაბიშვილს ეს ბრძანება არ გაუცია.

სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მერაბიშვილის კიდევ ერთმა ადვოკატმა ოთო კახიძემ განაცხადა, რომ შს ყოფილი მინისტრისა და ყოფილი პრემიერისთვის წაყენებული ბრალდება უსაფუძვლოა, რაც ექსპერტიზის დასკვნით არის დადასტურებული.

კერძოდ, ადვოკატის თქმით, არსებობს დასკვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ აქციის დაშლის ბრძანება კანონიერი იყო. ოთო კახიძე დარწმუნებულია, რომ თუკი სასამართლოზე ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ზეწოლა არ განხორციელდება, აღნიშნული საქმის არსებითი განხილვისას მერაბიშვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგება.

გუშინდელი სასამართლო სხდომა ვანო მერაბიშვილმა პროტესტის ნიშნად დატოვა. მერაბიშვილის ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მისი მოწოდება ბრალდების მხარის მიმართ. ყოფილმა პრემიერმა პროკურორებს მოუწოდა, რომ 26 მაისის საქმეზე აქციის დაშლის დროს გარდაცვლილი პოლიციელის ვლადიმერ მასურაშვილის სახელს ნუ ამოეფარებიან, მის სახელს ნუ ახსენებენ.

ამ მოწოდებას დარბაზში მსხდომი გულშემატკივრების მხრიდან ტაში მოყვა. მოსამართლემ ოვაციების ინიციატორს დარბაზის დატოვებისკენ მოუწოდა. ვანო მერაბიშვილმა ამის შემდეგ თქვა, რომ თუკი გარდაცვლილი პოლიციელის სახელის დასაცავად დარბაზში მყოფებს პროცესს ატოვებინებენ, მაშინ პროცესს თვითონაც ტოვებს. ვანო მერაბიშვილმა, საბადრაგო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, დარბაზი დატოვა.

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ პროცესზე შესვენება გამოცხადდა. პროცესის დატოვებამდე კი ვანო მერაბიშვილმა მცირე განცხადებაც გააკეთა. მან აღნიშნა, რომ ნინო ბურჯანაძე და ვლადიმირ პუტინი კმაყოფილები უნდა იყვნენ იმით, რაც დღეს ხდება.

„ბურჯანაძე პუტინს ხვდებოდა და გეგმავდა, როგორ შეეშალათ ხელი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესისთვის. ეს ადამიანები კმაყოფილები უნდა იყვნენ, რაც დღეს ხდება. პუტინი ზედმეტად კმაყოფილი და ბედნიერი იქნება. მეცოდებიან პროკურორები და მოსამართლეები, მაგრამ ასეთია ცხოვრება, ამ პროცესს მივიჩნევ არა მარტო ჩემ, არამედ ჩემი მეგობრების წინააღმდეგ მიმართულ პროცესად. მათ ეყოფათ ძალა და გაუძლებენ. მეცოდებიან პროკურორები და მოსამართლეები, რომლებიც ამ ტრაგიკომედიის პროცესში მონაწილეობენ," - განაცხადა მერაბიშვილმა.

სხდომის დატოვებამდე ვანო მერაბიშვილმა 26 მაისის საქმის ნაფიცი მსაჯულების პირობებში განხილვაზე უარი განაცხადა.

„არ მინდა. დამატებით 12, 8 თუ 7 ადამიანი პროკურატურის უხეში ზეწოლის ქვეშ მოექცეს. ეს პოლიტიკური პროცესია და არ მინდა, ამ პოლიტიკური ზეწოლის პროცესში ჩემთვის უცნობი ადამიანები ჩავრთო," - განმარტა მერაბიშვილმა და მადლობა გადაუხადა ყველა იმ პირს, ვინც «სასამართლო პროცესებზე დაუღალავად დადის».

ნაფიცი მსაჯულების პირობებში საქმის განხილვაზე ვანო მერაბიშვილის უარს საქმის პროკურორი გამოეხმაურა.

პროკურორ ჯარჯი წიკლაურის განცხადებით, ვანო მერაბიშვილმა ნაფიცი მსაჯულების პირობებში საქმის განხილვაზე უარი იქიდან გამომდინარე თქვა, რომ დარწმუნებულია, ქვეყანაში არ არსებობს ერთი მსაჯულიც კი, ვინც მის ქმედებებს გაამართლებს.

„მას ესმის, რომ ამ ქვეყანაში შეუძლებელია თუნდაც ერთი მსაჯულის პოვნა, ვინც გაამართლებდა 26 მაისის საქმეზე ბრალდებულის ქმედებებს. დაცვის მხარეს სურდა, 26 მაისს მომხდარი სასტიკი ძალადობა იმით გაემართლებინა, თითქოს მიტინგზე სამარცხვინო ადამიანები იყვნენ შეკრებილები," - განაცხადა პროკურორმა.

26 მაისის გამო ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა 11 დეკემბერს დაიწყება.

პუტინი უკრაინისა და სამხრეთ კავკასიის შესახებ

გუშინ სომხეთში ვიზიტით მყოფმა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა უკრაინის მოვლენების კომენტირებისას განაცხადა, ეს უფრო დარბევას ჰგავს, ვიდრე რევოლუციას. თან მან გამოიყენა ამ სიტყვის რუსული ვარიანტებიდან ყველაზე მძაფრი ფორმა «პოგრომი». მან თქვა, რომ ეს აქციები გულდასმით მზადდებოდა 2015 წლის არჩევნებისთვის და ახლა გამოიყენეს. პუტინის სიტყვებით, ეს უკრაინის შიდა დაპირისპირების გამოვლინებაა და ევროინტეგრაციასთან კავშირი არ აქვს. მისივე თქმით, უკრაინის ოპოზიციიდან არავის უცდია ევროპასთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების შინაარსის წაკითხვაც კი. შემდეგ პუტინი მაინც მოერია თავს, იმედი გამოთქვა, რომ უკრაინაში სიტუაცია მალე დასტაბილურდება და ისიც დასძინა, რომ რუსეთი უკრაინის ნებისმიერ არჩევანს პატივს სცემს. უკრაინის მოვლენების გარდა, რაც რუსეთის პრეზიდენტისთვის მთავარი გამაღიზიანებელი ფაქტორია, პუტინი გუშინ სხვა მხრივაც ვერ იყო ხასიათზე. ერევანში მას საპროტესო აქცია დახვდა პლაკატებით: «Putin go home» «No to the USSR» და სხვა. მან ერევანში ისიც თქვა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში პოზიციების გაძლიერებას აპირებს და ამ რეგიონიდან სადმე წასვლას არასდროს გეგმავდა.

ტაილანდში საპროტესტო გამოსვლები არ წყდება

დემონსტრანტებმა, რომლებიც ქვეყნის პრემიერ ინგლაკ ჩინავატის გადადგომას მოითხოვენ, ორშაბათს საპროტესტო გამოსვლები განაახლეს. კვირას მათ მთავრობის სახლის და სხვა სახელმწიფო შენობების ხელში ჩაგდება ვერ შეძლეს. «როიტერის“ ცნობით, პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი სუტეპ ტაუგსუბანი კვირას ქვეყნის პრემიერ-მინისტრს შეხვდა, თუმცა, ტაუგსუბანის თქმით, მოლაპარაკება არ შედგა: «იინგლაკს ვუთხარი, რომ თუ პოლიცია იარაღს დაყრის, ჩვენ მათ სიხარულით მივიღებთ. პრემიერს ასევე განვუცხადე, რომ მე მას მხოლოდ ერთხელ შევხვდი და შემდეგი შეხვედრა მანამ არ შედგება, სანამ ხალხი არ გაიმარჯვებს“. მთავრობას ამ შეხვედრის შესახებ ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია. ქვეყანაში გამოსვლები მას შემდეგ დაიწყო, რაც ცნობილი გახდა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც ქვეყნიდან გაძევებულ პრემიერ ტაქსინ ჩინავატის ამნისტიას ითვალისწინებდა. ტაქსინი მოქმედი პრემიერის ძმაა. დემონსტრანტებმა პრემიერს გადადგომა სამშაბათამდე მოსთხოვეს. სუტეპ ტაუგსუბანის თქმით, ისინი სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებულებს გაფიცვისკენ მოუწოდებენ: «შეწყვიტეთ ტაქსინის რეჟიმისთვის მუშაობა და ხალხს შეუერთდით.“

გუშინ პრემიერ-მინისტრმა ინგლაკ ჩინავატმა გადადგომაზე უარი განაცხადა და თქვა, რომ ეს მოთხოვნა უკანონოა.

ჰონდურასში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს აპროტესტებენ

«როიტერის“ ცნობით, კვირას ჰონდურასში ქსიომარა კასტროს მომხრეებმა საპროტესტო გამოსვლა მოაწყვეს. ისინი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს აპროტესტებდენ. კასტრო, რომელიც მემარცხენეების საპრეზიდენტო კანდიდატი იყო, ქვეყნის ყოფილი ლიდერის მანუელ ზელაიას მეუღლეა. კასტროს განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც, ოფიციალური მონაცემებით, ხუან ჰერნანდესმა გაიმარჯვა, გაყალბდა. არსებული მონაცემებით, მმართველი პარტიის ლიდერმა ხუან ჰერნანდესმა ხმების 36,8 პროცენტი მიიღო, «თავისუფლებისა და ხელახლა დაფუძნების“ პარტიის კანდიდატმა კასტრომ კი - 28,79 პროცენტი.

ირანი საუდის არაბეთთან მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა კვირას განაცხადა, რომ თეირანს სურს, მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდეს ამერიკის მოკავშირე საუდის არაბეთთან. როგორც ჯავად ზარიფმა სპარსეთის ყურის ქვეყნებში ვიზიტისას აღნიშნა, ჟენევაში 24 ნოემბერს მიღწეული ბირთვული შეთანხმება რეგიონში საფრთხედ არ უნდა შეაფასონ. ქუვეითში ყოფნისას მინისტრმა განაცხადა, რომ ის საუდის არაბეთში ჩავლასაც გეგმავს: «ჩვენ საუდის არაბეთს რეგიონის მნიშვნელოვან და გავლენიან ქვეყნად განვიხილავთ და ვმუშაობთ ამ ქვეყანასთან ურთიერთობის გაღრმავებაზე, რაც რეგიონისთვის სასიკეთო იქნება.“ თუმცა, ირანის მთავარ დიპლომატს არ დაუკონკრეტებია, თუ როგორ აპირებენ ურთიერთობის გაღრმავებას. სპარსეთის ყურის ქვეყნები, რომლებიც ამერიკის მოკავშირეები არიან, გასულ თვეში ირანსა და ე.წ «ექვსეულს“ შორის ბირთვული შეთანხმების მიღწევას თავშეკავებულად შეხვდნენ. თუმცა, ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა გარანტიები მოითხოვა, რომ ეს შეთანხმება რეგიონის უსაფრთხოებაზე დადებითად იმოქმედებს.

ანკარა, ბაღდადი და ერბილი ერაყიდან ნავთობის ექსპორტის კომიტეტს ქმნიან

ანკარა, ბაღდადი და ერბილი, თურქეთის გავლით, ერაყული ნავთობის ექსპორტის საკითხების შესახებ სამმხრივი კომიტეტის შექმნაზე შეთანხმდნენ, - ამის შესახებ, სააგენტო «ანადოლუს“ ცნობით, თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა ტაინერ ილდიზმა განაცხადა. «ერაყული ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრის მიზნით შეიქმნება სამმხრივი კომიტეტი, სადაც თურქეთის, ერაყისა და ჩრდილოეთ ერაყის წარმომადგენლები გაერთიანდებიან,“ - აღნიშნა მინისტრმა. გასულ კვირას თურქეთში ერაყის ქურთისტანის ავტონომიის პრემიერ ნეჩირვან ბარზანის ვიზიტისას ნავთობისა და გაზის სფეროში პროექტების შესახებ შეთანხმება იქნა მიღწეული. ამ დროისთვის თურქეთისა და ერაყის ქურთისტანის ავტონომიური რეგიონის ხელმძღვანელობა ამ პროექტების შესახებ ერაყის ცენტრალურ მთავრობასთან მოლაპარაკებებს მართავს. ცოტა ხნის წინ ერაყის პრემიერის თანაშემწემ ენერგეტიკის საკითხებში ჰუსეინ ალ-შაჰრისტანმა განაცხადა, რომ თურქეთისთვის ერაყის ნებისმიერი ტერიტორიიდან ნავთობის მიწოდება მხოლოდ ცენტრალურ მთავრობასთან შეთანხმების შემდეგ მოხდება. ერაყის ქურთისტანის ხელმძღვანელობა უახლოეს პერიოდში ნავთობის მილსადენის ექსპლუატაციის დაწყებას გეგმავს, რომლის საშუალებითაც ნავთობს თურქეთის გავლით ევროპა მიიღებს.

მოამზადა თამთა კახაძემ

ასი ათასობით მანიფესტანტს უკრაინის ხელისუფლების ცვლილება სურს

პირველი გვერდიდან

კვირას გამართულ მასობრივ აქციაზე „სახალხო ვეჩეზე“ (სახალხო კრება) მხოლოდ კიევში, სხვადასხვა შეფასებებით, 300 ათასიდან ნახევარ მილიონამდე ადამიანი შეიკრიბა. ხელისუფლება ნაწილობრივ უკანდახევას ცდილობს, მაგრამ საკმაოდ უხერხულად და არადამაჯერებლად. კიევში მომიტინგეებს ბლოკირებული აქვთ სამთავრობო შენობების შესასვლელები, თუმცა მინისტრთა კაბინეტი, კრიზისული სიტუაციის მიუხედავად, გუშინ მუშაობას მაინც ახერხებდა. ხალხი და ოპოზიცია ხელისუფლებას ქვეყნის ინტერესების ღალატში სდებს ბრალს და როგორც მთავრობის გადადგომას, ასევე რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს მოითხოვს.

ჩვენი გაზეთის შაბათის ნომერში ცალ-ცალკე სტატიებში დაწვრილებით მიმოვიხილეთ კიევის „მაიდანზე“ მიმდინარე მოვლენები, ვილნიუსის სამიტი და უკრაინის უარი ხელშეკრულებების ხელმოწერაზე. ახლა შევეცდებით, ამის შემდეგ გუშინდელ საღამომდე განვითარებულ მოვლენებს ქრონოლოგიურად მივყვეთ.

პარასკევს, გვიან, მაიდანზე შეკრებილმა დემონსტრანტებმა მიიღეს რეზოლუცია უკრაინის პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. იმ დროისთვის დამოუკიდებლობის მოედანზე შეკრებილი ხალხი უკვე პოლიციის სპეცრაზმ „ბერკუტის“ ალყაში იყო, თან სამართალდამცავებს ორ ნაწილად ჰყავდათ „გახლეჩილი“. ხრეშჩატიკის სამანქანო სავალი ნაწილიდან განდევნილი მანიფესტანტები მოედნის ორ მხარეს, ტროტუარებზე იყვნენ ბლოკირებულები. მიტინგზევე გამოცხადდა, რომ მოქმედების შემდგომი გეგმა კვირას დანიშნულ დიდ აქციაზე უნდა გამოცხადებულიყო. „სახალხო ვეჩე“ საპროტესტო აქციის ორგანიზატორებმა კვირისთვის - 1 დეკემბრის 12:00 საათისთვის დანიშნეს. ალბათ სიმბოლურია, რომ 1 დეკემბერი უკრაინის დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის დღეა. ხალხი იმუქრებოდა, რომ კვირას აქციაზე ცოცხებით მივიდოდა. „ჩვენ მოვითხოვთ პრეზიდენტ იანუკოვიჩის გადადგომას და პოლიტიკური რეპრესიების შეწყვეტას. ეს უკრაინის ხელისუფლების განმენდის დასაწყისია. ჩვენ ვეჩეზე ცოცხებით მივალთ და ამით დავანახებთ იანუკოვიჩს, რომ თუ არ წავა, ჩვენ გამოვგვით“. მიტინგზე მიღებულ დოკუმენტში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ „ვიქტორ იანუკოვიჩი, რომელმაც ჩვენი ბედი - უკრაინის ევროკავშირში წევრობა შემოაბრუნა, გადაყენების ღირსია. პრეზიდენტს, უმაღლეს რადას და მინისტრთა კაბინეტს უკრაინის სტრატეგიული კურსის რეალიზების უნარი არ აღმოაჩნდათ.“ ამას გარდა, მიტინგზე გადაწყდა, რომ, პირველ რიგში, საჭიროა საკოორდინაციო საბჭოს შექმნა ცნობილი მოღვაწეების, სტუდენტებისა და პოლიტიკოსების შემადგენლობით.

ღამე მოედანზე ხალხმა შედარებით იკლო. სხვადასხვა მონაცემებით, იქ დილისკენ რამდენიმე ათასამდე ადამიანი რჩებოდა. როგორც ჩანს, ხელისუფლებაში ვიღაცამ გადაწყვიტა, რომ ეს მოხერხებული მომენტი იყო და აქცია პარასკევს ღამით სასტიკად დაარბიეს. სპეცრაზმის და მომიტინგეების შეტაკების შედეგად დაშავებულებიც და დაპატიმრებულებიც არიან. კერძოდ დაკავებულია 35 ადამიანი, დაშავებულია რამდენიმე ათეული კაცი, მათ შორის 10 სამართალდამცავი. სამედიცინო დახმარება 35 ადამიანს დასჭირდა და მათგან 7 საავადმყოფოში მოათავსეს. შემდეგ დღეებში „ლოკალურ შეტაკებებში“ დაშავებულთა რაოდენობამ მკვეთრად იმატა და ორშაბათს, საღამოსთვის, უკვე იყო ცნობები, რომ ორივე მხრიდან 165 ადამიანია დაშავებული.

ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის მოედანზე მიტინგების ჩატარება აკრძალა და შაბათს ეს ადგილი „ბერკუტის“ მიერ იყო ბლოკირებული. თუმცა ხალხი მიხაილოვის მოედანზე შეიკრიბა. ამ მოედანზე ორი სხვადასხვა ტაძარია, რომელსაც შაბათს გამთენიისას დარბეულმა მომიტინგეებმა შეაფარეს თავი. სპეცრაზმი რაღაც მომენტში ეკლესიებსაც მიუახლოვდა, თუმცა შემდეგ უკან დაიხია. მიხაილოვის მოედანზე გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა „ბატკივშჩინას“ ლიდერი არსენი იაცენიუკი, რომელმაც პრეზიდენტის და მთავრობის გადადგომა უკვე ხალხის დარბევის გამო მოითხოვა. მან მომხრეებს მეორე დღისთვის სახალხო ვეჩეზე მისვლისკენ მოუწოდა. იმ მომენტში მიხაილოვის მოედანზე უკვე, დაახლოებით, 20 ათასი ადამიანი იდგა. იაცენიუკმა საყოველთაო გაფიცვის დაწყების იდეაც წამოაყენა და სხვადასხვა ქალაქებისა თუ დაწესებულებების თანამშრომლებს შესთავაზა, თვითონ გადაეწყვიტათ, თუ რა ფორმით გააკეთებდნენ ამას. ლვოვის და ივანო-ფრანოვსკის ოლქში ზოგმა დაწესებულებამ გაფიცვა უკვე დაიწყო.

კვირას კი სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა და მოსული ხალხის მასამ თავისთვად გადმოიტანა „ინიციატივა“ ოპოზიციის მხარეს. როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, მხოლოდ კიევში აქციაზე, სხვადასხვა მონაცემებით, 300 ათასიდან ნახევარ მილიონამდე ადამიანი მივიდა. დემონსტრანტებმა ისევ დაიკავეს დამოუკიდებლობის მოედანი. პარალელურად მრავალათასიანი აქციები გაიმართა სხვა დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით აქტიური იყო მოსახლეობა დასავლეთ უკრაინაში. მხოლოდ ლვოვში „ევრომაიდანზე“ 20 ათასი კაცი იდგა. მათ სოლიდარობას მანქანების სიგნალებით უცხადებდნენ ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურ საქმიანობას ვერ მოწყდნენ.

კვირას, დილით, დემონსტრანტების აგრესიულად განწყობილმა ნაწილმა პრეზიდენტის რეზიდენციასთან მისვლა სცადა, რასაც შენობის დამცველ სპეცრაზმელებთან შეტაკება მოჰყვა. ნამდვილი ბრძოლა გაიმართა - საბედნიეროდ, ცეცხლსასროლი იარაღის გარეშე. პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და ხელკეტები გამოიყენა. ქვები, კვამლმდენი ყუმბარები და ხელთ არსებული სხვა საშუალებები დემონსტრანტებმაც გამოიყენეს. ოპოზიციის ლიდერები ახალგაზრდების ამ ჯგუფს დიდხანს აწყნარებდნენ და მათ პროვოკაციაში სდებდნენ ბრალს. კერძოდ, პარტია „უდარის“ ლიდერი, წასულში ცნობილი მოკრივე ვიტალი კლიჩკო ამ ხალხის უკან, მოედანზე წაყვანას ცდილობდა. ხმის გამაძლიერებლის საშუალებით კლიჩკო მათ უხსნიდა, რომ სამართალდამცავებზე თავდასხმა უკანონობაა და ეს პრეზიდენტ იანუკოვიჩს საგანგებო მდგომარეობის შემოღების საშუალებას მისცემს. ამ შეტაკების შემდეგაც, რა თქმა უნდა, ორივე მხარეს იყვნენ დაშავებულები.

1 დეკემბერს ამ ტიპის კიდევ რამდენიმე ინციდენტი დაფიქსირდა სხვადასხვა შედეგებით. აგრესიული დემონსტრანტების, დაახლოებით, 50-კაციანი ჯგუფმა - ისინი ნაციონალისტური „თავისუფლების“ წევრები იყვნენ - კიევში, ბესარაბიის მოედანზე მდგარი ლენინის ძეგლის აღება სცადა, თუმცა იქ ოპერატიულად მისულმა პოლიციის სპეცრაზმმა მათ ამის საშუალება არ მისცა. დემონსტრანტებმა მოახერხეს მხოლოდ ძეგლის „შეღებვა“ და მასზე წარწერების გაკეთება - მაგალითად, „დიდება ერს“. შეტაკება საკმაოდ მძიმე იყო, პოლიციამ, ცრემლსადენი გაზის გარდა, ხმოვანი და მანათობელი ასაფეთქებელი პაკეტები გამოიყენა, თუმცა მძიმედ დაშავებულები „ბერკუტის“ მებრძოლებს შორისაც არიან.

იმავე კვირა დღეს ოპოზიციის წარმომადგენელმა კიევში ორი შენობა დაიკავეს - ქალაქის მერია და პროფკავშირების სახლი. პროფკავშირების სახლთან აქტიური ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. არიან დაშავებულები ორივე მხრიდან და პოლიციელებზე თავდასხმის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმეებიც. შედარებით მშვიდობიანად მოხდა მერიის შენობის დაკავება. ამ შენობის პირველი სართული, ფაქტობრივად, ოპოზიციის ხელშია. იქ მათი შტაბია მოწყობილია, სადაც ხალხს დასვენება და, მაგალითად, გასათბობად ჩაის დალევა შეუძლია. ოპოზიციის წარმომადგენლები მშვიდობიანად იქცევიან და მერიის თანამშრომლებს მუშაობაში ხელს არ უშლიან. შენობის საშტატო დაცვამ შენობის მეორე სართულზე „აინაცვლა“.

პირველ დეკემბერსვე, დაახლოებით, 300 ავტომანქანისგან შემდგარმა კოლონამ პრეზიდენტ იანუკოვიჩის ქალაქგარე რეზიდენციისკენ წასვლა სცადა, რათა მისთვის სიგნალებით „თავი შეეხსენებინათ“, თუმცა პოლიციამ გზა გააკეტა და კოლონა არ გაატარა. მანქანები უკან გამობრუნდნენ, თუმცა სამართალდამცავებს „დაუბარეს“, რომ მოგვიანებით უფრო დიდი კოლონით ესტუმრებოდნენ.

კვირას უკრაინის ხელისუფლებამ ტონი აშკარად შეცვალა, თუმცა ამით ხალხის დაწყნარება უკვე შეუძლებელი იყო. მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ მომავალ კვირაში სამთავრობო დელეგაცია ხელშეკრულების პირობების შესათახმებლად ევროკავშირში გაემგზავრებოდა. პრემიერმა აზაროვმა თქვა, რომ რამდენიმე დღეში რუსეთთან მოლაპარაკებები დაინებოდა, რომლის დროსაც, მათ შორის, გაზის ფასსაც განიხილავდნენ. მან დასძინა, რომ რუსეთთან რიგი საკითხების შეთანხმების გარეშე უკრაინული ბიუჯეტის შედგენა შეუძლებელია. შინაგან საქმეთა მინისტრმა ვიტალი ზახარჩენკომ ძალის გადამეტებული გამოყენების გამო ბოდიში მოიხადა და თქვა, რომ აქტიური მოქმედებები სამინისტროს გეგმებში არ შედიოდა. მანამდე სამინისტრომ მათ დასახმარებლად რუსეთიდან სპეცრაზმ „ვიტიაზის“ ჩასვლის შესახებ გავრცელებული ხმები უარყო. მიტინგის დარბევისას ხალხის დაშავების გამო მწუხარება გამოთქვა კიევის მილიციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმაც, რომელიც, დაუზუსტებელი მონაცემებით, გადადგა კიდეც. გავრცელდა თვით პრეზიდენტ იანუკოვიჩის განცხადება, რომელმაც შაბათს მომხდარი დაგმო და დამნაშავეთა დასჯა მოითხოვა, თუმცა არ დაუზუსტებია, ვის გულისხმობდა დამნაშავეებში. დაწყებულია სამსახურებრივი გამოძიებაც.

უკრაინაში ორივე მხარეს სიმშვიდისა და ძალადობაზე უარის თქმისკენ მოუწოდა ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა. მან იმედი გამოთქვა რომ უკრაინა, როგორც ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, დაიცავს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს სიტყვის და შეკრების თავისუფლების თვალსაზრისით.

კვირიდან ორშაბათამდე ღამით კიევის ქუჩებში ათობით ათასი ადამიანი ისევ რჩებოდა. მათი უმრავლესობისთვის ევროინტეგრაციის საკითხი უკვე მეორე პლანზე გადავიდა. ხალხი აღშფოთებული იყო იმით, რომ დამოუკიდებლობის, დაახლოებით, 20 წლის თავზე ხელისუფლებამ მათი შვილები გალახა. კვირას ხელისუფლების და ოპოზიციის სასწრაფო მოლაპარაკებების სურვილი გამოთქვა უკრაინის უმაღლესი რადას სპიკერმა ვლადიმირ რიბაკმა. ორშაბათს რაღაც ამის მსგავსი პარლამენტში კიდეც შედგა, თუმცა სერიოზული შედეგის გარეშე. დღეს, სამშაბათს, წესით რადას პლენარული სხდომა უნდა დაინიშნოს, რომელზეც, მათ შორის, მთავრობისადმი ნდობის საკითხიც შეიძლება დადგეს. ჯერ ძნელი გამოსაცნობია, ეს საქმე როგორ გადაწყდება, მაგრამ პატარა ბზარი საპარლამენტო უმრავლესობაშიც გაჩნდა. „რეგიონების პარტია“ ხალხის დარბევის გამო პროტესტის ნიშნად შაბათსვე დატოვა დეპუტატმა დავით ჟვანიამ. იგი კვირას ახალი უმრავლესობის შექმნის, მთავრობის დათხოვნისა და ახალი «ევროინტეგრაციული» მთავრობის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. მან რუსული ინტერესების გატარება პირადად პრემიერ აზაროვს და ვიცე-პრემიერ ბოიკოს დაუბრალა.

ორშაბათს მომიტინგეებს ბლოკირებული ჰქონდათ მთავრობის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობები. თუმცა ამ შენობების ეზოებში სპეცრაზმის ასეულობით მებრძოლი იყო მობილიზებული. ოპოზიცია ხელისუფლების გადადგომას და ვადამდელ არჩევნებს უპირობოდ მოითხოვს.

ᲐᲕᲗᲝ ᲕᲐᲠᲐᲖᲘ - ᲠᲔᲢᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ავთო ვარაზის ტილოები მსოფლიოს მუზეუმებშია წარმოდგენილი, მაგრამ ზოგიერთი ნამუშევრის ბედი დღემდე უცნობია. ავთო ვარაზის ნამუშევრებიდან «ხარის თავი» ნიუ-ორკის «მოდერნ არტის» მუზეუმში ინახება, მეორე, კვლავ «ხარის თავის» სახელწოდებით, თუმცა სინამდვილეში «კრავის თავს» წარმოადგენს, აშშ-ის ზიმერლის ნონკომფორმისტულ მუზეუმში; მესამე, «ხარის თავი» - ალექსანდრე გლეზერთან, პარიზში ხოლო «რვაფეხა» კი კოსტაკისის კერძო კოლექციაში საბერძნეთში. მისი 15 ნამუშევარი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ასევე, ქუთაისის, ცაგერის, ამბროლაურის და სენაკის სახვითი ხელოვნების მუზეუმებში ინახება.

ვარაზი წლების განმავლობაში მუშაობდა სამუზეუმო ექსპოზიციის გაფორმებაზე. მან მხატვრულ გაფორმებაში მთავარ მაორგანიზებელ ელემენტად ფერი აქცია. მნიშვნელოვანი ობიექტები ასევე სხვადასხვა ფერადოვანი აქცენტების





მეშვეობით იყო გამოყოფილი: 1961 წელს ჯანაშიას მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების გამოფენა, ფეოდალიზმის ეპოქის განყოფილების გამოფენა; რუსთაველისადმის მიძღვნილი გამოფენა სურათების გალერეაში; ლიტერატურული მუზეუმი; იოსებ გრიშაშვილის და გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმები.

მხატვრულად გააფორმა აგრეთვე რეჟისორ გიორგი შენგელაიას კინოფილმი „ფიროსმანი“ (სცენარის ავტორი - ერლომ ახვლედიანი), სადაც ფიროსმანის როლი მანვე შეასრულა (1969).

მხატვარი 1977 წელს მარტში გარდაიცვალა, ამავე წლის მაისში შედგა მისი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა. გარდაცვალების შემდეგ ნიუ-იორკის მოდერნ-არტ მუზეუმიდან მის ოჯახს მოუვიდა გამოფენაზე მოწვევა.

ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ავთო ვარაზის რეტროსპექტიული გამოფენა 2013 წლის 25 დეკემბერამდე გაიმართება.

ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲣᲡᲘᲜᲐᲗᲚᲝᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲝᲤᲘᲝ ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔ

12 დეკემბერს 16:00 საათზე თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ვებ-საიტის bu.org.ge პრეზენტაცია გაიმართება, რომელიც უსინათლო და მცირემხედველი მომხმარებლებისათვის არის განკუთვნილი. საიტით სარგებლობა მხედველ მომხმარებლებსაც შეუძლიათ.

ასოციაციის უსინათლოები საზღვრებს გარეშე“ ძალისხმევით ადრეულ წლებში შექმნილია ქართული კომპიუტერული ხმოვანი პროგრამების პაკეტი, რომელიც მხედველობამოკლებულ პირებს საშუალებას აძლევს ისევე გამოიყენონ კომპიუტერი, როგორც მხედველებმა. ამ პაკეტის არსებობა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა უსინათლოთა მიერ კომპიუტერის აქტიური გამოყენებისათვის.

სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ასოციაციამ უსინათლოებს კომპიუტერზე დამოუკიდებლად მუშაობა შეასწავლა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ბენეფიციარები იძენდნენ კომპიუტერზე მუშაობის მხოლოდ ზოგად უნარებს. სწავლების პერიოდში მათ მიერ გაკეთებულმა ჩანაწერებმა ვერ შეასრულა მეთოდურად გამართული, ფუნდამენტური, სისტემატიზებული, პრაქტიკული სახელმძღვანელოს ფუნქცია. სწავლების დაფინანსების წყვეტილობამ საშუალება არ მოგვცა, საქართველოში მცხოვრები უსინათლოთა მთელი კონტიგენტი მოგვეცვა. ეს ვებ-საიტი კი სწორედ, ამ ხარვეზების აღმოფხვრას ემსახურება. საიტის შექმნის პროექტის ფარგლებში დაიწერა ქართული ხმოვანი პროგრამების პაკეტის შესწავლისა და ათვისების ადაპტირებული სახელმძღვანელო, რომელიც დაყოფილია გაკვეთილებად. თითოეული გაკვეთილის შემდეგ, მასალის განმტკიცების მიზნით, მოცემულია საკონტროლო კითხვები და დავალებები პასუხებით. გარდა ამისა, საიტზე მოცემულია: აღნიშნული სახელმძღვანელოს აუდიო ვერსია; ქართული ხმოვანი პროგრამების პაკეტის საინსტალაციო ფაილი ბიბლიოთეკითურთ და მის გარეშე; რუსულ-ინგლისური ხმოვანი პროგრამების პაკეტი - NVDA, მისი საინსტალაციო ფაილი, მოხმარების სახელმძღვანელო და აუდიო ვერსია.

საიტს, გარდა სტანდარტული განყოფილებებისა, გააჩნია საბიბლიოთეკო ნაწილი, სადაც ჩატვირთულია 3600-ზე მეტი დასახელების საბიბლიოთეკო ეგზემპლარი, რომლითაც ნებისმიერი მომხმარებელი ისარგებლებს.

საქართველოს ფარგლებში მცხოვრებ ნებისმიერ უსინათლოს შეუძლია გადმოიწეროს და ნებისმიერ კომპიუტერზე დააყენოს საინსტალაციო ფაილები და სახელმძღვანელოები, რომელთა დაყენების წესებსაც საიტზე გაეცნობიან.

საიტის შექმნის პროცესში გათვალისწინებული იქნა მცირემხედველთა მოთხოვნილებებიც. საიტის შექმნით შესაძლებელი გახდა ქართული ხმოვანი პროგრამებისა და მათი შესასწავლი სახელმძღვანელოების ფართო ხელმისაწვდომობა. დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის მომავალში განზრახულია კონსულტაციების ჩატარება სკაიპის დახმარებით.

უსინათლოთა და მცირე მხედველთა ასოციაცია უსინათლოები საზღვრების გარეშე“ 2001 წლის 3 დეკემბერს დაარსდა. ასოციაციის თავმჯდომარე კიბერნეტიკოსი ბესარიონ სოლოღაშვილია. ასოციაციის მიზანია შეეცადოს უსინათლოთა და მცირე მხედველთა ძირითადი ნაკლის - მხედველობის უქონლობით გამოწვეული უუნარობის შემსუბუქებას თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით; აამაღლოს უსინათლოთა ინტელექტი, მისცეს პროფესიული ჩვევები მათი ადაპტაციისა და სათანადო ადგილების დამკვიდრებისათვის სამოქალაქო საზოგადოებაში.

წლების განმავლობაში ასოციაციამ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. 2008 წლიდან კი იგი თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობაში აგრძელებს მუშაობას. 2011 წლის 11 მაისს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ასოციაცია უსინათლოები საზღვრებს გარეშე“, უსინათლოთა და მცირე მხედველთა საბიბლიოთეკო მომსახურების ცენტრის აუდიო-წიგნების ჩამწერი სტუდია ექოს“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ხელშეწყობით შეიქმნა.

სტუდია განკუთვნილია ბიბლიოთეკაში აუდიო ფონდის შექმნისთვის, სადაც იწერება, აუდიო სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ნაშრომები, ლექციები, თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა და სხვა. ამ სტუდიის შექმნის მთავარი მიზანი იყო, რომ ჩვენ ამ გზით ვცდილობთ წვლილი შევიტანოთ განათლებისა და მეცნიერების სისტემაში და ხელი შევუწყოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების რეალიზებას საზოგადოებაში, რათა მათ თავი იგრძნონ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად.

ᲒᲘᲕᲘ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მომღერალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, თეატრის ყოფილი სოლისტი, პროფესორი **გივი წულუკიძე** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გივი წულუკიძემ იმთავითვე მიიქცია ქართველი მსმენელის ყურადღება და მომღერალთა იმ შესანიშნავი პლეადის წევრი გახდა, რომლებიც 60-იანი წლებიდან ამშვენებდნენ ჩვენი თეატრის სცენას.

დახვეწილი ვოკალური ტექნიკა, ემოციურობა და ტემპერამენტი გივი წულუკიძეს საშუალებას აძლევდა შეესრულებინა ქართული, რუსული და მსოფლიო საოპერო რეპერტუარის ურთულესი ვოკალური პარტიები.

ვალმოხდილი მომღერლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების, ახლობლებისა და ქართველ მსმენელთა გულში.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026233

შემსყიდველი	შპს რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	02.12.2013 12:22
წინადადებების მიღება იწყება	04.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	06.12.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	9760 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	39800000-საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	39800000-საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტებში
მოწოდების ვადა	2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	39 ლარი
გარანტიის ოდენობა	98 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026186

შემსყიდველი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	29.11.2013 19:35
წინადადებების მიღება იწყება	18.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	23.12.2013 15:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	43610 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ეტაპობრივად,2014 წლის 6 იანვრიდან 2014წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	250 ლარი
გარანტიის ოდენობა	436 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026010

შემსყიდველი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	28.11.2013 19:37
წინადადებების მიღება იწყება	03.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	05.12.2013 14:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3500 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტექნიკურ დავალებაში
მოწოდების ვადა	ერთიანად/ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	14 ლარი
გარანტიის ოდენობა	35 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება შესყიდვის ელექტრონული პროცედურას ჩატარების შესახებ № GEO130026187

შემსყიდველი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	29.11.2013 19:45
წინადადებების მიღება იწყება	30.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	02.12.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	129000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	31400000-აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	31400000-აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	430 ცალი
მოწოდების ვადა	2013 წლის 20 დეკემბრამდე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	516 ლარი
გარანტიის ოდენობა	1290 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026188

შემსყიდველი	იურიდიული დახმარების სამსახური
ტენდერის გამოცხადების თარიღი	29.11.2013 19:50
წინადადებების მიღება იწყება	04.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	06.12.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	6200 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	48800000-საინფორმაციო სისტემები და სერვერები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	48822000-კომპიუტერის სერვერები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მოცემულია დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	2013 წლის 25 დეკემბერი
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	50 ლარი
გარანტიის ოდენობა	62 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026185

შემსყიდველი	იურიდიული დახმარების სამსახური
ტენდერის გამოცხადების თარიღი	29.11.2013 19:30
წინადადებების მიღება იწყება	04.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	06.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	8000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	48800000-საინფორმაციო სისტემები და სერვერები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	48822000-კომპიუტერის სერვერები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მოცემულია დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	2013 წლის 25 დეკემბერი
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	50 ლარი
გარანტიის ოდენობა	80 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026184

შემსყიდველი	სსიპ სსსტც "დელტა"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	29.11.2013 19:25
წინადადებების მიღება იწყება	18.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	23.12.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	103000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	48800000-საინფორმაციო სისტემები და სერვერები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	48800000-საინფორმაციო სისტემები და სერვერები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ეტაპორბივად ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1000 ლარი
გარანტიის ოდენობა	1030 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026189

შემსყიდველი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	29.11.2013 20:07
წინადადებების მიღება იწყება	04.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	06.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	8100 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	79900000-სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	79952000-ღონისძიებების ორგანიზება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	2013 წლის 25 დეკემბერი
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	150 ლარი
გარანტიის ოდენობა	81 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

ორი ბრინჯაოთი იაპონიაში, ერთობლივ შეკრებაზე

გიგა გურასაშვილი

ტოკიოში, პრესტიჟულ დიდ სლემზე - ძიგორო კანოს მემორიალზე, გადახალისებული შემადგენლობით მყოფმა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და დღეიდან ერთობლივ სანაკრებო შეკრებაზე გადაერთო.

ლიპარტელიანმა მასპინძელზე გამარჯვებით ბრინჯაო დაისაკუთრა

დიდი სლემისთვის საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ განაცხადში ძირითადად ახალგაზრდული ნაკრების წევრები შეიყვანა. გამოცდილ ძიუდოისტთაგან კი ტატამზე გასვლის საშუალება მხოლოდ ავთანდილ ჭრიკიშვილსა (81 კგ.) და ვარლამ ლიპარტელიანს (90 კგ.) მიეცათ. მედლებიც სწორედ მათი დამსახურებაა.

ჭრიკიშვილი, რომელიც მსოფლიო რეიტინგის ლიდერია, რეპეშაჟის ფინალში ამერიკელ ტრევის სტივენსს გადაეყარა და ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე წაგებისთვის (მესამე წრეში) ეფექტური იპონით 36 წამში რევანში აიღო.

რეპეშაჟში ასპარეზობამდე მომავალი ბრინჯაოს პრიზიორი ტურნირზე მეორე წრიდან ჩაება. ჯერ ისლანდიელ სვეინბიორნ იურას სძლია, მერე - ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონს, ბერძენ ალექსიოს ნტანაციდისს, მეოთხედფინალში კი იაპონელ ტაკანორი ნაგასესთან მესამე წუთის მიწურულს იპონით დამარცხდა. იაპონელი ფინალში გავიდა და ჩემპიონიც გახდა, რამაც ქართველს რეპეშაჟისკენ გაუხსნა გზა. ჭრიკიშვილმა შანსი ხელიდან არ გაუშვა და კვარცხლბეკზე ასვლის პატივი დაიმსახურა, თუმცა, მონტენეგროელ სრჟან მრვალიევიჩთან წარმატებას მიაღწია არა ეფექტური გდებით, არამედ ერთი შიდოს უპირატესობით.

თითქმის იგივე გზა გაიარა პირველ ნომრად განთესილმა ვარლამ ლიპარტელიანმაც. ნახევარფინალში მომავალმა ჩემპიონმა, იაპონელმა მასუი ბეიკერმა გადაუღობა გზა. ჩემპიონთან შეხვედრამდე ლიპარტელიანმა ორჯერ იჭიდავა - მასპინძელ ჰიროტაკა კატოსთან და გერმანელ აარონ ჰილდებრანდთან - ორივე შემთხვევაში ქართველმა სუფთა გამარჯვება მოიპოვა.

ლიპარტელიანს მესამე ადგილისთვის შეხვედრაშიც მასპინძელ შოჰეი შიმოვადასთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა, რაც ქართველის გამარჯვებით დასრულდა. ლიპარტელიანმა, ისევე როგორც ჭრიკიშვილმა, ბრინჯაოს მედალთან ერთად, 200 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა.

საქართველოს ნაკრებმა ორი ბრინჯაოს მედლით გუნდური მეშვიდე ადგილი დაიკავა. პირველზე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, იაპონელები გავიდნენ - ტოკიოს დიდი სლემი მათ 5 ოქროსა და 7 ბრინჯაოს მედლით დაასრულეს. 1 ოქროსა და 3 ვერცხლის მედლით მეორე ადგილზე გავიდნენ კორეელები. 1 ოქროს მედლით, ბევრისთვის მოულოდნელად, მესამე ადგილი ჩეხებს დარჩათ.

ირაკლი უზნაძემ, შედეგებზე მეტად, ახალგაზრდებისთვის გამოცდილების შეძენაზე გააკეთა აქცენტი. მთავარი მიზანი კი ის ერთობლივი შეკრებაა, რომელსაც ჩვენი გუნდი სრული შემადგენლობით შეუდგა.

სომხეთის პრემიერ-მინისტრის თასი ქართველმა ხელბურთელებმა დაისაკუთრეს

სომხეთის პრემიერ-მინისტრის თასით ხელდამშვენებულმა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა გუშინ ხელბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართა.

1996-97 წლებში დაბადებულთა გუნდმა ერევანში სომხეთის პრემიერ-მინისტრის თასზე დაამარცხა რუსეთის ნაკრები (33:28), უკრაინა (33:28) და სომხეთი (32:21) და პირველი ადგილი დაიკავა. მთავარ ჯილდოსთან ერთად, გუნდს კიდევ 4 პრიზი ერგო -საუკეთესო ბომბარდირი გახდა თემურ ორჯონიკიძე (36 გოლი). ორჯონიკიძემ, ალექსანდრე ცხვარაშვილმა და მეკარე ზურაბ ცინცაძემ კი თავიანთ პოზიციებზე საუკეთესო ხელბურთელის ჯილდო მოიპოვეს.

„ჩვენი გუნდისთვის ეს ფაქტობრივად პირველი ტურნირი იყო. ბოლო მატჩის წინ ფავორიტად რუსები ითვლებოდნენ. მათ გაცილებით დიდი სხვაობით დაამარცხეს მეტოქეები, მაგრამ ჩვენ მეორე მატჩში, სომხეთთან, ძალები დავზოგეთ და რუსეთან საბრძოლველად მოვემზადეთ, - ამბობს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ტიტე კალანდაძე. - ფიზიკურად მეტოქე ჩვენზე ძლიერი იყო, რამდენიმე ორმეტრიანი მოთამაშეც ჰყავდათ, მაგრამ მატჩმა გვიჩვენა, რომ სწორი ტაქტიკითა და შემართებით ხელბურთში ყველასთან შეიძლება გამარჯვება. ძალიან კარგად ითამაშეს შეტევის ლიდერებმა ორჯონიკიძემ და ცხვარაშვილმა, გამოვყოფ დაცვასაც: მეკარე ცინცაძეს, კოხრეიძესა და დემეტრაშვილს. ამ მოგებამ კარგი განწყობა შეგვიქმნა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის. მეტოქეები ძლიერი გვყავს - ხორვატია მასპინძელია და სახელბურთო ქვეყანაა, მაკედონიაში მე თავად მითამაშია სამი სეზონი და ვიცი, რომ იქ ხელბურთი სპორტის პირველი სახეობაა, ჰოლანდიაშიც საკმაოდ განვითარდა ეს სახეობა, მაგრამ ჩვენ ფინალური ეტაპის საგზურისთვის საბრძოლველად წავალთ“.

დელეგაციის ხელმძღვანელის, ვახტანგ ბერიაშვილის თქმით, მწვრთნელებმა რუსეთთან შეხვედრისთვის სწორი ტაქტიკა შეარჩიეს: «მთავარი იყო, რომ მათთვის სწრაფი შეტევის საშუალება არ მიგვეცა, რაც მოვახერხეთ კიდეც. თავიდან ბოლომდე ვლიდერობდით, დარბაზი ძალიან გვიჭერდა მხარს, მაგრამ დადგა მომენტი, როცა რუსები 3 ბურთამდე წამოგვეწივნენ. ამ დროს ორი ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა გარემარბმა ირაკლი გოგოლაძემ.

ჯილდო თავად სომხეთის პრემიერ-მინისტრმა, ტიგრან სარგსიანმა გადმოგვცა“.

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე და სპორტის მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე.

...საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ტიტე კალანდაძისა და გიორგი გვაზავას ხელმძღვანელობით ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება. ოფიციალური მატჩები 10-12 იანვარს ხორვატიაში გაიმართება. საქართველოს ნაკრების მეტოქეები კი, მასპინძელთა გარდა, მაკედონიელი და ჰოლანდიელი ხელბურთელები იქნებიან. 10 იანვარს საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ჰოლანდიელ თანატოლებს გაეჯიბრება, 11 იანვარს - მასპინძლებს, 12 იანვარს კი - მაკედონიას. ევროპის ჩემპიონატს 18-წლამდელ ხელბურთელთა შორის 2014 წლის აგვისტოში პოლონეთი უმასპინძლებს. ფინალურ ეტაპზე შესარჩევი ჯგუფის ორი მოწინავე გუნდი იასპარეზებს.

„ქართველი„ პულენი ბარსელონაში ქართველებს დაუპირისპირდა

პულენისა და შერმადინის დუელი

ქართველი კალათბურთელების „სარაგოსა“ ესპანური პრიმერადივიზიონის გასულ ტურში კატალონიურ გრანდთან უშანსოდ დამარცხდა. გიორგი შერმადინისა და ვიქტორ სანიკიძის გუნდი ესპანური ლიგის ერთ-ერთ ლიდერს - „ბარსელონას“ სტუმრად შეხვდა და მატჩი 23 ქულის სხვაობით - 50:73 დათმო.

შერმადინმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 21:19 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 6-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა და 3 პერსონალური ფოლი მიიღო. 22:01 წუთი ითამაშა ვიქტორ სანიკიძემ, რომლის მონაგარი 5 ქულა, 6 მოხსნა და 1 პასი იყო. ვიქტორმა 5-დან 1 სამქულიანი და 2 საჯარიმო გამოიყენა, 3 ორქულიანი ააცილა, 2 შეცდომა დაუშვა და 3-ჯერ დაჯარიმდა.

„ბარსელონას“ შემადგენლობაში 19:08წუთი ითამაშა ქართული პასპორტის მქონე ჯეიკობ პულენმა, რომელსაც საქართველოს ნაკრების მაისურით არაერთი მატჩი ჩაუტარებია. ამერიკელმა უკანახაზელმა 3 ორქულიანი ჩააგდო და 6 ქულას 1 პასი წაამატა.

სარაგოსელებს თანაბარი ბალანსი (4მოგება, 4 მარცხი) აქვთ და ესპანურ ლიგაში მეშვიდე ადგილზე არიან. მორიგი შეხვედრა არაგონულ კლუბს 7 დეკემბერს, საკუთარ მოედანზე, „ფუენლაბრადასთან“ ელის.

ფაცაციამ სუპერლიგაში, ცინცაძემ ვი-თი-ბი ლიგაში წააგო

უკრაინულ გუნდებში მოასპარეზე ქართველებმა სხვადასხვა ტურნირის ეგიდით ითამაშეს და წააგეს. ლევან ფაცაციას „აზოტმა“ უკრაინის სუპერლიგაში, ხოლო გიორგი ცინცაძის „დონეცკმა“ ვი-თი-ბი ლიგაში.

„დონეცკმა“ „ნიჟნი ნოვგოროდს“ უმასპინძლა და 75:83 დამარცხდა. საქართველოს ნაკრების უკანახაზელი მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და 26:52 წუთში 7 ქულა, 5 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა. ცინცაძემ 5-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი ააცილა, ბურთი კი 3-ჯერ დაკარგა. 4 მოგებითა და 3 მარცხით „დონეცკი“ ვი-თი-ბი ლიგის A ჯგუფში მეხუთე ადგილზეა.

8 დეკემბერს ცინცაძის კლუბი რუსეთისკიდევ ერთ წარმომადგენელს - ყუბანის „ლოკომოტივს“ უმასპინძლებს.

უკრაინულ სუპერლიგაში ფაცაციას „დნიპროაზოტი“ დედაქალაქში „ბკ კიევს“ ესტუმრა და ზედიზედ მეექვსე მარცხი განიცადა - 72:81. ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში იყო და 34:50 წუთში 13 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

ფაცაციამ 5-დან 2 ორქულიანი და 6-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, 2 საჯარიმო ააცილა, ბურთი ერთხელ დაკარგა. ფაცაციაზე უკეთ დნეპროპეტროვსკელთაგან მხოლოდ დონალდ სიმსმა ითამაშა, რომელმაც 28 ქულა დააგროვა. მორიგი მატჩიც სტუმრად ელის „აზოტს“ - 13 დეკემბერს დნეპროპეტროვსკელები „გოვერლას“ ეთამაშებიან.

ბუბა ბერიშვილის კალათბურთი

ზურა თალაკვაძე

ბუბა ბერიშვილს ბესიკ ლიპარტელიანი აჭილდოებს

არმია“, მგზავრები“, ჟეიკო ობრადოვიჩი. ცალ-ცალკე, ბრჭყალების გარეშე, ეს სამი სიტყვა ერთმანეთთან ახლობლობს. ობრადოვიჩი ევრობასკეტის მგზავრია, რომელიც დისლოკაციის ადგილს არჩევს, აკვირდება სიტუაციას და იმ კლუბის ფანებთან, არმიასთან“ ერთად გადის ბრძოლის ველის ვიწრო ბილიკზე. იმ ვიწრო ბილიკზე ლეონიდეს უღალატეს და სპარტელების მეფეს ორი მხრიდან დაარტყეს. იმ ვიწრო ბილიკზე დორიან გრეიმ სული გაყიდა და სიბერის გარეშე გაიარა. იმ ვიწრო ბილიკზე ბევრი გადის და ყველა ბოლომდე ვერ მიდის. ის ვიწრო ბილიკი ჩვენი წარსული და აწმყოში ჩარჩენილი მომავალია. ხშირად გვეზარება იმ ბილიკზე გავლა და ძველი ამბების გახსენება. იმ ამბებში ჩვენი მეგობრები და ყველაზე ერთგული ადამიანები არიან და ის ამბები გვახსოვს. კალათბურთში ბოლო, არასაკალათბურთო ამბებს თუ არ გავიცნობთ, ყველაფერი მეგობრულად იყო. მანამდე რაც ჩამოვთვალეთ („არმია“, მგზავრები“, ჯიუტი ობრადოვიჩი), ყველაფერი გავაერთიანოთ და მივიღებთ მოთამაშეს, რომელიც კალათბურთს თამაშობდა. არ იგებდა სხვის ჯინაზე და არ აგებდა სხვის ჯინაზე. უბრალოდ, გადიოდა მოედანზე, ენდობოდა გუნდს და გუნდისგანაც ნდობას იღებდა. იშვიათია.

დღეს ბუბა ბერიშვილზე ვსაუბრობთ.

დღევანდელი არმია“ ჩვეულებრივი, ქართული შემადგენლობით ძალიან კარგ კალათბურთს თამაშობს.

არმიაში“ კოტე ტუღუშს არა აქვს მოთამაშეების დიდი არჩევანი და

არმიაში“ ყველაზე სანდო შემსრულებელი ისევ ზვიად ბაბიაშვილია. მოთამაშე, რომელიც მთავარ მწვრთნელზე უფროსია. და მთავარი მწვრთნელი, რომელიც დღესაც უკეთეს ფორმაშია, ვიდრე მისი გუნდის მოქმედი მოთამაშეები. ყველა არა, მაგრამ მაინც. იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ საქართველოში ხდება ხოლმე. „არმიაში“ ტუღუშმა შარშან მესამე ადგილი აიღო და ეს „არმია“ ცოტა შეცვლილი, ცოტა სუსტი შემადგენლობით მაინც იგებს. წააგო „დინამოსთან“ და იქ სხვა დონის შემადგენლობა, ფინანსური მხარდაჭერაა. „არმიაში“ კოტეს ასისტენტი ბუბა ბერიშვილია. ნდობაზე აგებული ბიზნესი ხშირად ტრაგედიით მთავრდება. ნდობაზე აგებული კალათბურთი სხვა შემთხვევაა და კოტე ბუბას ენდობა. სუპერლიგის ყველაზე ახალგაზრდა სამწვრთნელო ტანდემი, რომელმაც რაღაცები უკვე მოიგო და სადღაც ისევ იხმაურებს. ბერიშვილი კოტესთან ერთად სწავლობს, სამწვრთნელო ამბებში იზრდება და ეს ჩანს. ეს წყვილი ასაკს უსწრებს და გამოცდილებას აგროვებს. საინტერესო წყვილია. მწვრთნელს და მის ასისტენტს კალათბურთის არ ერიდებათ, კალათბურთთან მეგობრობენ.

ბერიშვილი იგებდა. ბევრს იგებდა. სუპერლიგის სუპერფინალში, როდესაც „რუსთავმა“`რამაზ გოგობერიშვილი, ანატოლი ბოისა, დავით იმნაძე დაიმატა და ბევრის ფავორიტი გახდა, „თბილავიამშენმა“ მოიგო. ლევან მოსეშვილის ცოტა ჭრელ, ზედმეტად გადატვირთულ გუნდში კოტე და ბუბა ჩანდნენ. კოტე სამიანებს ურახუნებდა და ბუბა ინტელექტით იგებდა. მიმიკით კაცის მოტეხვა, ცოტა ნელი და ყველაზე ელეგანტური დრიბლინგი. ეს ბერიშვილი იყო. თუ საჭიროა, ბუბა სამიანს უშვებს და აგდებს. თუ საჭიროა, ბუბა დაგაზღვევს და იმ „რუსთავთან“ გუნდურად უნდა აგეკრიფა. ინდივიდუალურად მოგება ძნელი იყო.

ბერიშვილი მეგობრობდა მეგობრებთან და ტრავმებთან. კარიერა ჯერ გააჩერა, შემდეგ დაასვენა და ცოტა ხანში დაასრულა. ბუბა ითამაშებდა, მაგრამ არ ითამაშა. თავმოყვარეობა კალათბურთშიც თავმოყვარეობაა ძველი, დაკარგული სისწრაფის, ინსტინქტების დაკარგვის შემდეგ, ძველი ემოციით და ლტოლვით ვერ ითამაშებ. ბერიშვილმა დასვენება გადაწყვიტა. დასვენება ტკივილისგან, რომელიც მუდამ ბუბას გვერდით იყო და გლლიდა. ბერიშვილი წავიდა. და დაიწყო სამწვრთნელო კარიერა. ისევ კოტესთან ერთად. მეგობარმა ახალი გზის დაწყების წინ მეგობარს დაუძახა და დაიწყო კიდევ ერთი ანათვალი. ცოტა რთული ანათვალი იმ დროს, როდესაც ამ წყვილს, ამ მწვრთნელებს სკეპტიკურად უყურებდნენ. იცით როგორ? ბიჭები გაერთობიან, „სტარიკებთან“ წააგებენ და წავლენ... დაახლოებით ასე. და ბუბა დარჩა. იმიტომ, რომ უნდა დარჩენილიყო. კარიერა ახალი დაწყებულია და ვიღაცების ჭორიკნობას, ქლესობას და მამაკაცის მხრიდან დედაკაცურ ქცევას ყურადღება არ უნდა მიაქციო. დაიღლები. უბრალოდ, დაიღლები. ამ ასაკში პირიქით, ენერგია უნდა გადაანაწილო.

ბერიშვილის ბოლო გუნდი „ქუთაისი“ იყო. ძალიან კარგი გუნდი, სადაც მთავარი მწვრთნელი მალხაზ კოხრეიძე გახლდათ. კარგი მწვრთნელი, მშვენიერი კლუბი და ბერიშვილის ბოლო გაჩერება. ბოლო გაჩერება მოთამაშის რანგში და დაიწყო ახალი წრე.

იგებ ლევან მოსეშვილთან ერთად და ამაყი ხარ. ბატონი ლევანი ჩვენი ლეგენდაა.

იგებ სუპერლიგას და ბედნიერი ხარ. ჩემპიონობას სხვა განცდა, ემოცია მოაქვს. ბერიშვილმა ეს გაიგო. და დაიმახსოვრა.

იგებ „არმიაში“ ძალიან კარგ გუნდთან ერთად და ბევრს ეს არ მოსწონს. ნუ მოსწონთ! შურიანები და ორპირები არიან. რაც საქართველოში ყოველთვის მოდაში იყო. რაც ჩვენთან ყოველთვის გამოსდიოდათ. რაც ჩვენია. რაც ყოველთვის ჩვენში იქნება.

იგებ „მგზავრებთან“ ერთად და შეიძლება რაღაც მომენტში გულიც გწყდება, რომ იმ დიდი ჩემპიონატის მგზავრი აღარ ხარ. შეიძლება არც დაგწყდეს გული. ამაზე საკუთარ თავს უნდა დაელაპარაკო და მოელაპარაკო.

დარბაზში ვიღაც გიყურებს და მეორეს ეუბნება: „ბიჭო, აზრზე ხარ, ესენი არ ვარჯიშობენ და მაინც რა „ხოდზე“ არიან, ტო... და რო ივარჯიშონ, ხო აზრზე ხარ...“

იმ დარბაზში მეც ვიყავი. „მგზავრების“ გამო. ბუბამ კიდევ რამდენიმე შესვლა გააკეთა. ერთ ადგილზე მოწინააღმდეგის რამდენიმე მოტეხვით გაალამაზა სიტუაცია და მოიგო. როგორც იგებდა ხოლმე.

«არმია“, „მგზავრები“, ჟეიკო ობრადოვიჩი. ცალ-ცალკე, ბრჭყალების გარეშე, ეს სამი სიტყვა ერთმანეთთან ახლობლობს. ობრადოვიჩი ევრობასკეტის მგზავრია, რომელიც დისლოკაციის ადგილს არჩევს, აკვირდება სიტუაციას და იმ კლუბის ფანებთან, „არმიასთან“ ერთად გადის ბრძოლის ველის ვიწრო ბილიკზე.

იმ ვიწრო ბილიკზე კიდევ ერთხელ გავიდა ბუბა ბერიშვილი.

სანდო, ძალიან კარგი მოთამაშე, რომელსაც მეტი უნდა ეთამაშა. ხანდახან კარიერა არ გეუბნება, როდის უნდა გაჩერდე. უბრალოდ, გაჩერებს და იმ პროცესის მგზავრი ხდები.

და ისვენებ.

ბუბაც ისვენებს. დაიმსახურა.